განკარგულება:**გ-27.27212676**
თარიღი:**24/09/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 66

24 სექტემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, სს „სილქნეტს“ (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით, ქირავნობის უფლებით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციების/ბოძების ნაწილი/ წერტილი საკომუნიკაციო (ოპტიკურ ბოჭკოვანი) ქსელის მოსაწყობად დანართის შესაბამისად.

2. სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს **27** (ოცდაშვიდი) ლარით.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

N	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	რაოდენობა (ცალი)
1	გარე განათების ბოძი	ქ. თელავი, სოხუმის ქუჩის მიმდებარედ	53.00.529	9